განკარგულება:**გ-49. 49263028**
თარიღი:**29/10/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერა. სამსახურის საქმიანობა მიმართულია იმ სოციალური რისკების შემცირებისკენ, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის მდგომარეობას, სიღარიბეს, უსახლკარობას, ოჯახურ სირთულეებს, შეზღუდულ შესაძლებლობებსა და სხვა გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აისახება მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებს, განიხილავდა მოქალაქეთა განცხადებებს, სწავლობდა წარმოდგენილ დოკუმენტაციას, უზრუნველყოფდა შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადებასა და პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებების გაცემის ორგანიზებას.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქრონიკული და მძიმე დაავადებების მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზრდილების საჭიროებებზე რეაგირებას, უსახლკარო მოქალაქეთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მხარდაჭერასა და სხვა მოწყვლადი კატეგორიების დახმარებას.

მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მრავალშვილიანი ოჯახებისა და ახალშობილთა მშობლების მხარდაჭერას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილის მქონე ოჯახებს გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულ ოჯახს 300 ლარის ოდენობით.

2026 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული დახმარება მიიღო 72 ოჯახმა ხოლო მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 7 ოჯახს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით,

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული საჭიროებების მქონე ოჯახებს.

პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 12 ოჯახს. მათ შორის იყო 6 სამშვილიანი ოჯახი, 4 ოთხშვილიანი ოჯახი და ოჯახი, რომელსაც ტყუპები შეეძინა. მეორე კვარტალში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამით დახმარება გაეწია 12 ოჯახს. მათ შორის, მესამე შვილის შეძენისთვის დახმარება მიიღო 7 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენისთვის — 4 ოჯახმა, ხოლო მეხუთე შვილის შეძენისთვის — 1 ოჯახმა. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული საწყისი ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას, მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებასა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქრონიკული და მძიმე დაავადებების მქონე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული დახმარებები ხელს უწყობს მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას და ბენეფიციართათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 214 ბენეფიციარს, ხოლო მეორე კვარტალში — 202 ბენეფიციარს. ორივე კვარტლის მონაცემებით, დაფიქსირდა დახმარების 416 შემთხვევა.

აღნიშნული დახმარება ემსახურება მძიმე დაავადებების მქონე მოქალაქეთა მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას.

ცერებრალური დამბლით დაავადებულ მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 85 ბენეფიციარს, თითოეულს 600 ლარის ოდენობით.

მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 85 ბენეფიციარს, თითოეულს ასევე 600 ლარის ოდენობით, ამრიგად, საანგარიშო ორ კვარტალში აღნიშნული პროგრამით დაფიქსირდა დახმარების 170 შემთხვევა, აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერა მიზნად ისახავს დაავადებით გამოწვეული დამატებითი საჭიროებების დაკმაყოფილებას და ბენეფიციართა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას.

თვალის დაავადების დიაგნოზით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 65 პირს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში აღნიშნული დახმარება მიიღო 11 პირმა, თითოეულმა ასევე 400 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 76, აღნიშნული პროგრამა ემსახურება უსინათლო და

მხედველობის მძიმე დარღვევის მქონე მოქალაქეთა ფინანსურ მხარდაჭერას და მათი ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ჰემოდიალიზსა და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების მკურნალობა განსაკუთრებულ ფინანსურ და ორგანიზაციულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციართა მხარდაჭერას მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს.

პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 38 ბენეფიციარს, თითოეულს 2 000 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება მიიღო 5 ბენეფიციარმა, თითოეულმა 2 000 ლარის ოდენობით, პირველი და მეორე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 43,

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი ახორციელებდა მათ ფინანსურ მხარდაჭერას.

პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 109 ბავშვს, თითოეულს 500 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 109 ბავშვს, თითოეულს 500 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 218, პროგრამა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერებას და მათ საჭიროებებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას.

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 71 პირს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება მიიღო 16 პირმა, თითოეულმა 300 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 87, აღნიშნული პროგრამა ემსახურება იმ ოჯახების მხარდაჭერას, რომლებშიც ბავშვის აღზრდისა და მასზე ზრუნვის ძირითადი პასუხისმგებლობა ერთ მშობელს ეკისრება.

ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ და მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 124 პირს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით, პარკინსონის დაავადების მქონე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 119 პირს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება მიიღო 27 პირმა, თითოეულმა 400 ლარის ოდენობით,

ფენილკეტონურიით დაავადებულ მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 13 ბენეფიციარს, ხოლო მეორე კვარტალში — 5 ბენეფიციარს.

აღნიშნული დახმარება მნიშვნელოვანია იმ მოქალაქეთა მხარდაჭერისთვის, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს ხანგრძლივ და განსაკუთრებულ ზრუნვას.

პირველ კვარტალში ონკოლოგიური დაავადების მქონე 3 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულს 2 000 ლარის ოდენობით. ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მკურნალობის ხარჯების, დიაგნოსტიკური კვლევებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული სხვა ფინანსური საჭიროებების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ორ ასი წლის მოქალაქეს პირველ კვარტალში გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულს 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მხრიდან ხანდაზმულ მოქალაქეთა პატივისცემისა და მხარდაჭერის გამოხატულებას.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მიმართულებაა. პროგრამის მიზანია მოქალაქეებისთვის ისეთი სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რომლის ღირებულებაც სრულად არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის, სადაზღვევო პოლისის ან დაფინანსების სხვა წყაროს ფარგლებში.

2026 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტში სამედიცინო თანადაფინანსების მისაღებად შემოვიდა 586 მოქალაქის განცხადება. 521 მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი

მეორე კვარტალში სამედიცინო თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტს მიმართა 578 მოქალაქემ. 445 მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი

ორივე კვარტლის მონაცემებით, სამედიცინო თანადაფინანსების მისაღებად შემოვიდა 1 164 განცხადება, საგარანტიო გაიცა 966 შემთხვევაზე, სხვა შემთხვევაში ანაზღაურებული იქნა პაციენტის დავალიანებები კლინიკებში

პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და იმ ფინანსური სირთულეების შემსუბუქებას, რომლებიც მკურნალობის აუცილებლობას უკავშირდება.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება გაეწია ბავშვთა ასაკის 39 ბენეფიციარს პირველ კვარტალში და 17 ბენეფიციარს მეორე კვარტალში. ორივე კვარტლის მონაცემებით, დაფიქსირდა დახმარების 56 შემთხვევა.

ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და მათი ოჯახების მხარდაჭერას აუცილებელი მკურნალობის ხარჯების დაფარვაში.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში პირველ და მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 74 ბავშვს

პროგრამა ემსახურება აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის შესაბამის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და მათი ოჯახების ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას. ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა შესაბამისი სპეციალისტების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას.

2026 წლის პირველ კვარტალში, იანვარ-თებერვლის პერიოდისთვის, ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 928 ლარი.

მეორე კვარტალში, მაის-ივნისის პერიოდისთვის, აღნიშნული მიზნისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 976 ლარს.

აღნიშნული მხარდაჭერა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისთვის ადრეული განვითარების მომსახურების მიწოდებას და შესაბამის სპეციალისტთა გადაადგილებას იმ ოჯახებში, რომლებსაც ეს მომსახურება ესაჭიროებათ.

ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობა და ოჯახური გარემოს შენარჩუნება სოციალური დაცვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო როგორც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების, ისე იმ ოჯახების მხარდაჭერისკენ, რომლებსაც ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ.

დედ-მამით ობოლი ბავშვების მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 5 ბავშვს, კვარტალში თითოეულზე 400 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 5 ბავშვს, კვარტალში თითოეულზე 500 ლარის ოდენობით. ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 10, აღნიშნული პროგრამა ემსახურება მშობლის ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვების მხარდაჭერას და მათი აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებაში მეურვეებისა და მზრუნველების დახმარებას.

სოციალურად შეჭირვებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პირველ კვარტალში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ინვენტარით დახმარება გაეწია 4 ოჯახს, ხოლო მეორე კვარტალში — 3 ოჯახს.

ორივე კვარტლის მონაცემებით, საყოფაცხოვრებო ინვენტარით დახმარების 7 შემთხვევა დაფიქსირდა.

დახმარება განკუთვნილი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000-ის ჩათვლით განისაზღვრებოდა.

აღნიშნული მხარდაჭერა მიზნად ისახავს ოჯახების ყოველდღიური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და მათი ძირითადი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

საცხოვრებლის არქონა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სოციალური პრობლემაა, რადგან ის გავლენას ახდენს ადამიანის უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობაზე, ოჯახურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილი მოქალაქეების მხარდაჭერის მიზნით ხორციელდებოდა ბინის ქირის ანაზღაურების პროგრამა.

პირველ კვარტალში უსახლკარო მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენდა 41 პირს, ხოლო მეორე კვარტალში — 54 პირს.

პროგრამა გათვალისწინებულია იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა, საცხოვრებლად უვარგისი ან ავარიული გახდა, ან სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევისა თუ სხვა გარემოების გამო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა.

ბინის ქირის ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია ყოველთვიური დახმარება, არაუმეტეს 300 ლარისა.

მუნიციპალიტეტის ჩართულობა ხელს უწყობს მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების დროებით სტაბილიზაციას და უსახლკარობასთან დაკავშირებული სოციალური რისკების შემცირებას.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლი ოჯახს უქმნის არა მხოლოდ მატერიალურ ზარალს, არამედ უსაფრთხოებასა და ყოველდღიური ცხოვრების გაგრძელებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებს.

2026 წლის პირველ კვარტალში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 27 ოჯახს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ხოლო მეორე კვარტალში — 17 ოჯახს.

ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 44 ოჯახი.

აღნიშნული დახმარების მიზანი იყო დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და პირველადი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა.

დახმარების გაცემის პროცესში მნიშვნელოვანია ზიანის ფაქტის დადასტურება, საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შუამდგომლობა და უფლებამოსილი კომისიის მიერ საკითხის განხილვა.

მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა იმ მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და იღებენ სახელმწიფო გასაცემელს.

პირველ კვარტალში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 403 ბენეფიციარს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 51 ბენეფიციარს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 454, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მხრიდან იმ მოქალაქეთა მხარდაჭერის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელთა სოციალური მდგომარეობა და საჭიროებები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში დახმარება გაეწია 14 პირს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 6 პირს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 20, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 29 პირს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით, მეორე კვარტალში დახმარება გაეწია 5 პირს, თითოეულს 350 ლარის ოდენობით, ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 34. იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების სოციალური მხარდაჭერის მიზნით, პირველ კვარტალში ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსება გაეწია 4 ოჯახს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით. მეორე კვარტალშიც დახმარება გაეწია 4 ოჯახს, თითოეულს 400 ლარის ოდენობით.ორივე კვარტლის მონაცემებით, დახმარების შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა 8, აღნიშნული დახმარება მიზნად ისახავს გარდაცვლილი ოჯახის წევრის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას და რთულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.

განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რადგან ფინანსური მდგომარეობა ხშირად განსაზღვრავს ახალგაზრდების შესაძლებლობას, მიიღონ განათლება და გააგრძელონ სწავლა.

პირველი და მეორე კვარტლის ანგარიშის მიხედვით, სხვადასხვა სასწავლო გრანტის მქონე 41 სტუდენტს გაეწია ფინანსური დახმარება.

100%-იანი სასწავლო გრანტის მქონე — 4 სტუდენტი-200 ლარი

70%-იანი სასწავლო გრანტის მქონე — 12 სტუდენტი-150 ლარი

50%-იანი სასწავლო გრანტის მქონე — 25 სტუდენტი-100 ლარი

პროგრამის მიზანია აკადემიური წარმატების წახალისება და სტუდენტების მხარდაჭერა სწავლის პროცესთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მეორე კვარტალში თვალის დიაგნოზით დაავადებული 79 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა ტიფლოტექნიკით.

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მხედველობის დარღვევის მქონე მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას, ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობის ზრდასა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მეორე კვარტალში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების შუამდგომლობით 350 შეჭირვებულ ბენეფიციარს გაეწია დახმარება კვების პროდუქტებით.

აღნიშნული მხარდაჭერა მიმართული იყო იმ მოქალაქეების საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, რომელთაც მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების შეძენა უჭირთ.

მეორე კვარტალში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ 240 ბენეფიციარს გადაეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულს 100 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დახმარება მიზნად ისახავდა სათნოების სახლის ბენეფიციართა სადღესასწაულო პერიოდში მხარდაჭერას და მათი სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას.

პირველ და მეორე კვარტლში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე 5 პირს დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით გაეწია ყოველთვიური ფინანსური დახმარება, თითოეულს 300 ლარის ოდენობით.

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოების ხელშეწყობასა და მათთვის დროებითი საცხოვრებლით სარგებლობის შესაძლებლობის შექმნას.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საქმიანობა მოიცავდა მოქალაქეთა განცხადებების მიღებასა და განხილვას, თანდართული დოკუმენტაციის შემოწმებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნას, შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადებასა და ბენეფიციართა დახმარების გაცემის პროცედურების ორგანიზებას.

სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში სამსახური განიხილავდა მოქალაქეთა განცხადებებს, ამოწმებდა სამედიცინო დოკუმენტაციას, სწავლობდა დაფინანსების პირობებს და უზრუნველყოფდა საგარანტიო წერილების გაცემას.

სოციალური დახმარებების გაცემის პროცესში მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა, ოჯახების სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამისი პროგრამების ფარგლებში მათი მხარდაჭერა.

სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე მოიცავდა მოქალაქეთა ინფორმირებას მოქმედი სოციალური პროგრამების, დახმარების მიღების პირობებისა და საჭირო დოკუმენტაციის შესახებ.

სამსახური მომავალშიც გააგრძელებს მოქალაქეთა საჭიროებების შესწავლას, სოციალური პროგრამების განხორციელებას, დახმარების მიღების პროცედურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.